ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1541740

ნომერი: AR1254262

თარიღი : 30.09.2014

გაცემის თარიღი : 15.10.2014

გაცნობის თარიღი : 16.10.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ი. ჭავჭავაძის გამზირი I ჩიხი , N 25გ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირმა ხომასურიძე პ/ნ 01008001914
- თბილისი ი.ჭავჭავაძის I ჩიხი N 25

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

თქვენი AR1254262 განაცხადის პასუხად გაცნობებთ, რომ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის, ქ. თბილისის არქიტეტურის სამსახურის შექმნისა და მისი წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მთავრობის 2008 წლის 22 დეკემბრის #24.16.832 დადგენილების მეორე მუხლის, "ა" პუნქტის თანახმად, სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით ქ.

თბილისის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება, ხოლო ამავე მუხლის “ბ” პუნქტის მიხედვით, ქალაქის განვითარების კონცეფციის შემუშავება, მისი სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების თაობაზე შესაბამისი კვლევების ჩატარება და რეკომენდაციების მომზადება.

ამავე დებულების მე-3 მუხლში გაწერილია სამსახურის ფუნქციები, უფრო დეტალურად, მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის მიხედვით, ქ. თბილისის მერიის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესების მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტებისა და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება. მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე, სამსახური უფლებამოსილია და ვალდებულიც არის შეაფასოს წარმოდგენილი საპროექტო მიწის ნაკვეთების, ასევე ობიექტების ვიზუალური მხარე და მისი შემდგომი განვითარების კუთხე.

სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, შეთანხმებებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებითა და ქალაქ თბილისის მთავრობის 2008 წლის 22 დეკემბრის #24.16.832 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კერძო მიწის ნაკვეთებზე მშენებლობის განხორციელების მიზნით ინვესტორის მოძიება სცილდება სამსახურის კომპეტენციას.
